სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/200

ქ. თბილისი 24 დეკემბერი 2024 წ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების და რეგისტრაციის წესის დამტკიცებისა და „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებაში“ ცვლილების შეტანის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციის დეპარტამენტის უფროსის, პროფესორ მიხეილ ჯანიკაშვილის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2024 წლის 24 დეკემბრის №01-05-02/35 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. დამტკიცდეს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების და რეგისტრაციის წესი (დანართი).
2. მოწონებული იქნეს „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) დადგენილების პროექტი და დასამტკიცებლად წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს (სენატს).

3. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების და რეგისტრაციის წესი

1. ეს წესი განსაზღვრავს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) სამეცნიერო პერიოდული გამოცემის - ჟურნალის, შრომათა კრებულის (შემდგომში - სამეცნიერო პერიოდული გამოცემა) დაფუძნების და რეგისტრაციის პროცედურებს.
2. უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო ერთეული (ფაკულტეტი/სკოლა) და დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი/ცენტრი), ასევე, უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალის ინიციატივით, შესაძლებელია დაფუძნებულ იქნეს უნივერსიტეტის სამეცნიერო-პერიოდული გამოცემა, რომელიც სამეცნიერო ინფორმაციის წყარო და სამეცნიერო კომუნიკაციის საშუალებაა.
3. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემა უნდა აკმაყოფილებდეს ამ წესის დანართი 1-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს და აუცილებელია, მისი დამტკიცება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ და რეგისტრაცია უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში.
4. სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების მიზნით, რექტორის სახელზე წარდგენილი უნდა იქნეს უნივერსიტეტის ფაკულტეტის/სკოლის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის მიმართვა, რასაც თან უნდა ახლდეს სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების დასაბუთება (გამოცემის პროფილი, აქტუალობა, ინოვაცია და სხვ.), ამ დებულების დანართი 2-ით განსაზღვრული ინფორმაცია და შესაბამისი დოკუმენტაცია.
5. უნივერსიტეტის ფაკულტეტის/სკოლის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის მიმართვა და თანდართული დოკუმენტაცია განსახილველად გადაეცემა უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს და მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტს, რომლებიც 20 დღის ვადაში ამზადებენ ერთობლივ დასკვნას აკადემიურ საბჭოზე წარსადგენად.
6. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების და სარედაქციო კოლეგიის დამტკიცების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის/სკოლის/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ხელმძღვანელის მიმართვის, უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს და უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის დადებითი დასკვნის საფუძველზე. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს და მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტის უარყოფითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში, სამეცნიერო

პერიოდული გამოცემის დაფუძნების თაობაზე საკითხი უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოზე არ განიხილება.

7. სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების და სარედაქციო კოლეგიის დამტკიცების თაობაზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება და შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეცემა უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტს და უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს.

8. უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტი ახორციელებს დაფუძნებული სამეცნიერო პერიოდული გამოცემის რეგისტრაციას უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში.

9. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში აისახება სამეცნიერო-პერიოდული გამოცემის შექმნის და სარედაქციო კოლეგიის შემადგენლობის დამტკიცების თაობაზე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების რეკვიზიტები და ინფორმაცია სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დასახელების, დამფუძნებლის (ფაკულტეტი/სკოლა/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეული), რედაქტორის, პერიოდულობის შესახებ და სხვ.

10. უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრის მონაცემები საჯაროა და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

11. უნივერსიტეტის საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი“ უზრუნველყოფს მოთხოვნის შემთხვევაში დეტალური ინფორმაციის მიწოდებას და დახმარებას დაფუძნებული/რეგისტრირებული სამეცნიერო პერიოდული გამოცემის რეგისტრაციას/ასახვას/ლიცენზირებას ამ წესის №1 დანართით განსაზღვრულ ბაზებში და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას მეცნიერებისა და ინოვაციების დეპარტამენტისათვის რეესტრში ასახვის მიზნით.

12. დაფუძნებული/რეგისტრირებული სამეცნიერო პერიოდული გამოცემა, რომელიც ვერ დააკმაყოფილებს ამ წესის №1 დანართით განსაზღვრულ მოთხოვნებს, გაუქმდება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, რაც აისახება სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში.

13. ამ წესის ამოქმედებამდე დაფუძნებული უნივერსიტეტის ყველა სამეცნიერო პერიოდული გამოცემა, რომელიც აკმაყოფილებს ამ წესის დანართი 1-ით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მომდევნო ნომრის გამოცემამდე ექვემდებარება უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებას და სამეცნიერო პერიოდული გამოცემების რეესტრში რეგისტრაციას.

14. მხოლოდ ამ წესის შესაბამისად დაფუძნებულ და რეგისტრირებულ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას აქვს უფლება გამოიყენოს უნივერსიტეტის რეკვიზიტები (ლოგო, საფოსტო/ საბანკო რეკვიზიტები და სხვ.) და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები.

დანართი 1

მოთხოვნები უნივერსიტეტის სამეცნიერო პერიოდული გამოცემისთვის

საიტი და გარეკანის დიზაინი

1. სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას უნდა ჰქონდეს დამოუკიდებელი საიტი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
2. შესაძლებელია უფასოდ დომენის გამოყოფა;
3. სავალდებულოა სამეცნიერო პერიოდული გამოცემის საიტის მიმაგრება სტუ-ის შესაბამისი ფაკულტეტის /სკოლის/ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის / კვლევითი ცენტრის / საგამომცემლო სახლისა და ბიბლიოთეკის ვებგვერდებზე;
4. სავალდებულოა საიტზე იყოს განთავსებული შემდეგი ინფორმაცია:

ა) სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დებულება;

ბ) სამეცნიერო პერიოდული გამოცემის ეთიკის კოდექსი;

გ) ინფორმაცია მთავარი რედაქტორის შესახებ;

დ) ავტორთა საყურადღებოდ;

ე) ინფორმაცია სამეცნიერო პერიოდული გამოცემის შესახებ (ისტორია, სამეცნიერო მიმართულებები);

ვ) სარედაქციო კოლეგია (სადაც მითითებული იქნება ინფორმაცია თითოეული წევრის შესახებ, აფილირება, სამეცნიერო ხარისხი, კონტაქტი, ელ. ფოსტა);

ზ) რეცენზირების ფორმა;

თ) რომელ მონაცემთა ბაზებშია რეგისტრირებული სამეცნიერო პერიოდული გამოცემა;

ი) ინფორმაცია სამეცნიერო პერიოდული გამოცემის ინდექსირების შესახებ;

კ) არქივი, სადაც იქნება თავისუფალი წვდომა.

5. იმ შემთხვევაში, თუ სამეცნიერო პერიოდულ გამოცემაში სტატიის გამოქვეყნება ფასიანია, საჭიროა გამოქვეყნების საფასურის პირობების (პირთა წრის, გადახდის ფორმის, ანგარიშისა და სტატიის გამოქვეყნების ღირებულების) მითითება.
6. სავალდებულოა საიტი და გარეკანის დიზაინი შეთანხმდეს უნივერსიტეტის მარკეტინგისა და კომუნიკაციების ცენტრთან.

პლაგიატის შემოწმება

სავალდებულოა სტატიების პლაგიატზე შემოწმება, უნივერსიტეტში არსებულ პლაგიატზე შემოწმების პროგრამაზე, ან რომელიმე არსებულ სხვა პლატფორმაზე. აუცილებელია სტატიას

თანმხლებ დოკუმენტაციასთან ერთად თან ერთვოდეს პროგრამის მიერ გაცემული შედეგების PDF ვერსის ამონაბეჭდი.

ბიბლიოგრაფია

სამეცნიერო პერიოდულ გამოცემაში გამოქვეყნებულ სტატიებში გამოყენებული ლიტერატურა უნდა გაფორმდეს რომელიმე არსებულ ბიბლიოგრაფიულ სტილში მაგ.: Chicago, APA, Harvard Anglia, MLA და სხვა (სტუ-ს არჩეული აქვს APA-ს სტილი. ინფორმაცია, გამოყენებული ლიტერატურის APA-ს სტილით გაფორმების თაობაზე განთავსებულია https://publishhouse.gtu.ge/ka/)

რეზიუმე

აუცილებელია, ყველა სტატიას ჰქონდეს 100-150 სიტყვამდე რეზიუმე ქართულ და ინგლისურ ენებზე. მნიშვნელოვანია რეზიუმეს სწორად დაწერა, არსებობს შესაბამისი რეკომენდაციები:

ა) რეზიუმე უნდა იყოს ინფორმაციული (არ უნდა შეიცავდეს ზოგად სიტყვებსა და ფრაზებს);

ბ) უნდა იყოს აღნიშნული, რამ განაპირობა მოცემული სტატიის აქტუალურობა;

გ) უნდა ასახავდეს სტატიის ძირითად შინაარსსა და კვლევის შედეგებს;

დ) სტრუქტურირებული (მიჰყვებოდეს სტატიაში შედეგების აღწერის ლოგიკას).

რეცენზირება და რეფერირება

1. აუცილებელია, სამეცნიერო პერიოდული გამოცემა იყოს რეცენზირებადი და რეფერირებადი;
2. რეცენზირების ფორმას ირჩევს სამეცნიერო პერიოდული გამოცემის რედაქტორი ან სარედაქციო კოლეგია : ფარული, ნახევრად ფარული, ღია;

ფინანსური უზრუნველყოფა

1. სამეცნიერო პერიოდული გამოცემის გამოსაცემად, საჭირო მასალის ხარჯები ფინანსდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. ასევე, შესაძლებელია ანაზღაურებულ იქნეს სამეცნიერო პერიოდული გამოცემის მომზადების პროცესში მონაწილე პირის მიერ შესრულებული სამუშაო დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.
2. სამეცნიერო პერიოდულ გამოცემაში ფასიანი სტატიის გამოქვეყნების საფასური ირიცხება უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე და მისი განკარგვა ხდება უნივერსიტეტში არსებული წესის შესაბამისად.

ბაზები

1. აუცილებელია, სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას მინიჭებული ჰქონდეს სერიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი, **ISSN;**
2. სამეცნიერო პერიოდული გამოცემა უნდა იყოს ციფრული ობიექტის იდენტიფიკატორის ბაზაში **DOI (Digital Object Identifier**);

3. აუცილებელია, სამეცნიერო პერიოდულ გამოცემას ჰქონდეს გვერდი მაძიებელ სისტემაში **Google scholar**. *(სისტემაში რეგისტრაციის შესახებ იხილეთ საიტზე https://publishhouse.gtu.ge/ka/) ;*

4. აუცილებელია ინფორმაცია ჟურნალის შესახებ მოთავსდეს ქართულ რეფერატულ ჟურნალში (ქრჟ);

5. სამეცნიერო პერიოდული გამოცემა სასურველია დარეგისტრირდეს საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ელექტრონული ბიბლიოთეკის ფონდში **„ივერიელი“**;

6. რეკომენდებულია სამეცნიერო პერიოდული გამოცემა იყოს **ლიცენზირებული Creative Commons Attribution-NonCommercial 4.0 International-ით (CC BY-NC 4.0.)** *ან ჰქონდეს რომელიმე სხვა ლიცენზია;*

7. რეკომენდებულია სამეცნიერო პერიოდული გამოცემა აისახოს მოცემულ ბაზაში - განთავსდეს Eurasian Scientific Journal Index http://esjindex.org/index.php .

დანართი 2

სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნებისთვის სავალდებულო დოკუმენტაცია

1. სამეცნიერო პერიოდული გამოცემის საიტი ქართულ და ინგლისურ ენებზე;
2. სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დებულება. დებულებაში უნდა იყოს განსაზღვრული:
   ა) სამეცნიერო პერიოდული გამოცემის ფორმა - ბეჭდური და/ან ელექტრონული, ან ორივე;
   ბ) წვდომა - თავისუფალი თუ შეზღუდული ან ფასიანი;
   გ) სამეცნიერო პერიოდული გამოცემის ენა / ენები;
   დ) სტატიის მიღებისა და გაფორმების წესი;
   ე) სამეცნიერო პერიოდული გამოცემის პერიოდულობა;
   ვ) რეცენზირების ფორმა: ღია, ნახევრად დაფარული, სრულად დაფარული;
   ზ) სამეცნიერო პერიოდული გამოცემის სამეცნიერო მიმართულებები;
   თ) თუ სამეცნიერო პერიოდული გამოცემა ფასიანია, გადახდის ფორმა.
3. ფაკულტეტის საბჭოს/დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს ოქმის ამონაწერი სამეცნიერო პერიოდული გამოცემის დაფუძნების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გამოცემის დაფუძნების ინიციატორი არის უნივერსიტეტის აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი, განაცხადით უნდა მიმართოს შესაბამის ფაკულტეტის საბჭოს/დამოუკიდებელ სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო საბჭოს განსახილველად;
4. სამეცნიერო პერიოდული გამოცემის ანოტაცია (ისტორია და სხვა);
5. ინფორმაცია მთავარი რედქტორისა და სარდაქციო კოლეგიის შესახებ (მთავარი რედაქტორისა და სარედაქციო კოლეგიის ყველა წევრის ელ. ფოსტა, აკადემიური თანამდებობა/აფილირება, სამეცნიერო თანამდებობა, საქმიანობის ადგილი).

ცვლილებები სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებაში

2021 წლის 30 სექტემბრის №01-06-02/40 დადგენილებით დამტკიცებულ „სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურის სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1) დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

- საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვიცე-რექტორი, რექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ბ) საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვიცე-რექტორები.

2) დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტი

- სტუ-ის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების (ჟურნალების/შრომათა კრებულების) დამტკიცება

ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

ე) სტუ-ის სამეცნიერო პერიოდული გამოცემების (ჟურნალების/შრომათა კრებულების) დაფუძნების, არსებული გამოცემების ხელახალი რეგისტრაციის საკითხის განხილვა სტუ-ის აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

დებულებაში შესწორდეს ჩანაწერი - სტუ-ის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებს ჩაემატოს ცენტრები (სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტები/ცენტრები), ფაკულტეტებს დაემატოს სკოლა (ფაკულტეტი/სკოლა)